შეტყობინება მესამე

ეკლესიის სიღმისეული ზრდა მისი ორგანული ფუნქციონირებისათვის

ადგილები წერილიდან: ეფეს 4:11–16; რომ. 12:4-8; 1 კორ. 12:4-11, 28

I. ეკლესიის სიღრმისეული აშენება ხდება ქრისტეს სხეულის ყველა გასრულყოფილებული ასოს მეშვეობით –ეფეს.4:11-16:

ა. ქრისტემ, ამაღლებულმა თავმა, მოგვცა ნიჭები – მოციქულები, წინასწარმეტყველები, მახარობლები და მწყემსაბი და მასწავლებელბი – წმიდანების სრულყოფისათვის ადგილობრივ ეკლესიებში – მუხ. 11-12; 1 კორ. 12:28; საქმე. 13:1.

ბ. წმიდანების გასრულყოფილება არის „მსახურების საქმისათვის, ქრისტეს სხეულის აშენებისათვის“ – ეფეს. 4:12:

1. „თვის“ ეფესელების 4:12-ში ნიშნავს „შედეგს“, „მიზნის მისაღწევად“ ან „მიზანს“.
2. მრავალ ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს აქვთ მხოლოდ ერთი მსახურება, ანუ ის, რომ მოიტანონ ქრისტე ქრისტეს სხეულის, ეკლესიის, ასაშენებლად; ეს არის ერთადერთი მსახურება ახალი აღთქმის სახლმშენებლობაში – 2 კორ. 4:1; 1 ტიმ. 1:12.
3. გრამატიკული კონსტრუქციის თანახმად ეფესელთა 4:12-ში, ქრისტეს სხეულის აშენება არის მსახურების სამუშაო:
   - ა) ის, რასაც ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები აკეთებენ, როგორც მსახურების სამქეს უნდა იყოს ქრისტეს სხეულის ასაშენებლად მუხ. 12, 16.
   - ბ) ეს აშენება არ ხორციელდება უშუალოდ ნიჭით დაჯილდოებული წმიდანების მიერ, ის ხორციელდება იმ წმიდანების მიერ, ვინც არის გასრულყოფილებული ნიჭით დაჯილდოებულების მიერ; ნიჭების მუშაობა არის ირიბი, მაგრამ წმიდანბეი სამუშაო არის პირდაპირი – მუხ. 11-12.
   - გ) ნიჭები შეერთებულია ერთმანეთთან კოორდინაციაში, რათა სრულყონ წმიდანები ეკლესიაში, რომ გამოვლინდეს მათი ფუნქცია, და ყველა ასრულებდეს მსახურების სამუშაოს – მუხ. 12.
   - დ) ამგვარად, ნიჭით დაჯილდოებულების მიერ სრულყოფის მეშვეობით, ყველა წმიდანი შეასრულებს მსახურების საქმეს, და საბოლოოდ უფლის სხეული აშენდება – მუხ. 12, 16.

გ. საბოლოოდ, ქრისტეს სხეულის ყველა ასო „მიაღწევს რწმენის ერთობას და ღმერთის ძის სრულ შეცნობას, სრულად გაზრდილ კაცს“ – მუხ. 13:

1. სულის ერთობა მე-3 მუხლში არის ღვთაებრივი სიცოცხლის ერთობა სინამდვილეში, და ერთობა მე-13 მუხლში არის ერთობა ჩვენი ცხოვრებისა პრაქტიკულად:

ა) სინამდვილის ერთობას სჭირდება რომ განხორციელდეს პრაქტიკულად და ამის მეშვეობით გახდეს ერთობა პრაქტიკულად – მუხ. 3, 13.

ბ) სიტყვა *მივაღწიოთ* მე-13 მუხლში აღნიშნავს, რომ ეს პროესი საჭიროა ჩვენთვის, რომ მივაღწიოთ ერთობას ჩვენს ცხოვრებაში პრაქტიკულად; სინამდვილის ერთობა არის დასაწყისი, და ერთობა პრაქტიკულად არის დანიშნულების წერტილი.

2. ერთობა პრაქტიკულად არს ერთობა რწმენის – მუხ. 13:

ა) *რწმენა* მიუთითებს არა ჩვენი რწმენის აქტზე, არამედ იმაზე, რაც ჩვენ გვწამს, როგორიც არის ქრისტეს ღვთაბერივი პიროვნება და მისი გამომსყიდველი სამუშაო არსრულებული ჩვენი გადარჩენისათვის – 1 ტიმ. 1:19; 6:10, 12, 21; იუდა 3.

ბ) ეკლესიურ ცხოვრებაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი რამ, რაც არის განსაკუთრებული – რწმენა; მოვითხოვოთ რაღაც რწმენის გარდა მორწმუნეების მიღებისა არის განხეთქილების მომტანი – რომ. 14:1; 15:7.

3. ერთობა პრაქტიკულად არის ასევე ღმერთის ძის სრული ცოდნის ერთობა – ეფეს. 4:13:

ა) ღმერთის ძის სრული ცოდნა არის ჩავწვდეთ ღმერთის ძის, როგორც სიცოცხლის, გამოცხადებას ჩვენი განცდისათვის – მათე 16:16.

ბ) ერთობა რწმენისა მთლიანად დაკავშირებულია ღმერთის ძის სრულ ცოდნასთან; მხოლოდ მაშინ როდესაც ჩვენ ვიღებთ ქრისტეს როგორც ცენტრს და ყურადღებას ვამახვილებთ მასზე ჩვენ შეგვიძ ია მივაღწიოთ რწმნეის ერთობას, ვინაიდან მხოლოდ ღმერთის ძეში შეიძლება იყო სჩვენი რწმენა ერთი – იოანე 20:31; გალ. 1:15-16; 2:20; 4:4, 6; 1 კორ. 2:2.

4. მივაღწიოთ „სული ზრდის კაცს“ ნიშნავს მივაღწიოთ სიმწიფეს სიცოცხლეში, სიმწიფე საჭიროა პრაქტიკული ერთობისათვის – ეფეს. 4:13.

დ. ქრისტეს სხეულის აშენებისათვის ჩვენ უნდა ჩავეჭიდოთ ჭეშმარიტებას სიყვარულში, რათა ჩვენ „გავიზარდოთ მასში ყველაფერში ვინც არის თავი, ქრისტე“ – მუხ. 15:

1. გავიზარდოთ ქრისტეში ნიშნავს, რომ ქრისტე გადიდეს ჩვენში ყველაფერში სანამ ჩვენ მივაღწევთ სრულად გაზრდილ კაცს.

2. *თავი* ეფესელების 4:15-ში გვიჩვენებს, რომ ჩვენი ზრდა სიცოცხლეში ქრისტეს გადიდებით უნდა იყოს ასოების ზრდა ქრისტეს სხეულში თავის მიმართ.

ე. იმისათვის, რომ გავიზარდოთ სიცოცხლეში ნიშნავს გავიზარდოთ თავთან, ქრისტესთან, მიმართებით, მაგრამ ის, რომ ვიფუნქციონიროთ სხეულში ნიშნავს, რომ ვიფუნქციონიროთ მისგან – მუხ. 15-16:

1. პირველ რიგში, ჩვენ ვიზრდებით თავის მიმართ, შემდეგ ჩვენ გვაქვს რაღაც, რაც გამოდის თავიდან სხულის ასაშენებლად – მუხ. 16.
2. სიცოცხლეში ზრდისა და ნიჭების განვითარების მეშვეობით, ქრისტეს ხეულის თითოეულ ასოს აქვს თავისი ზომა, რომელიც მოქმედებს სხეულის ზრდისათვის.
3. ქრისტეს სხეულის ზრდა არის ქრისტეს გადიდება ეკლესიაში, რომლის შედეგიც არის სხეულის აშენება თავად სხეულის მეშვეობით – მუხ. 16.

II. ეკლესიის ორგანული ფუნქციონირება არის ქრისტეს ორგანულ სხეულში და ქრისტეს ორგანული სხეულის ადგილობრივ გამოხატულებებში – 1 კორ. 1:2; 12:27-28; რომ. 12:4-8; 1 კორ. 12:4-11:

ა. ვინაიდან ჩვენ ვართ ეს ორგანული სხეული, ჩვენ უნდა ვიყოთ ორგანი და ვიფუნქციონიროთ ორგანულად ეკლესიურ ცხოვრებაში – 12:4-5:
1. როდესაც ღმერთის მადლი ქრისტეში როგორც ღვთაებრივი ელემენტი შემოდის ჩვენს არსებაში, რათა იყოს ჩვენი სიცოცხლე ჩვენი ტკბობისათვის, მას მოაქვს გარკვეული სულიერი გამოცდილებისა და უნარების ელემენტი, რომელიც თან ახლავს ჩვენს ზრდას სიცოცხლეში და ხდება ნიჭი სიცოცხლეში, რომ ჩვენ შეგვეძლოს ვიფუნქციონიროთ ქრისტეს სხეულში – მუხ. 6-8.
2. როდესაც მთელი სხეული მოქმედებს, სხეული იზრდება თავის თავად,, და ამის შედეგიაის, რომ სხეული შენდება სიყვარულში – ეფეს. 4:16.

ბ. ქრისტეს ორგანული სხეულის ორგანული ფუნქცია არის ქრისტეს სხეულის ლოკალური გამოხატულებები სამერთიანი ღმერთის მოძრაობით ღმერთის მოქმედებაში, უფლის მსახურების მეშვეობით, და სულის ნიჭების მეშვეობით მის გამოვლინებაში, რათა ვიყოთ ქრისტეს ორგანული სხეულის ასოები – 1 კორ. 12:4-11, 28:
1. 1 კორინთელთა 12:4-6-ში ჩვენ ვხედავთ ღმერთი მამის მოქმედებას, ღმერთი ძის მსახურებას, და ღმერთი სულის ნიჭებს.
2. სულის ნიჭები არის იმისათვის, რომ განვახორციელოთ უფლის მსახურებები, და უფლის მსახურებები არის იმისათვის, რომ განვახორციელოთ ღმერთი მამის მოქმედებები – მუხ. 4-6.
3. როდესაც ჩვენ ვფუნქციონირებთ ორგანულად, სამერთიანი ღმერთი, რომელიც არის ჩვენში, მოძრაობს ჩვენთან ერთად.
4. სამერთიანი ღმერთი არ მოძრაობს ჩვენ გარეშე; როდესაც ჩვენ ვმოძრაობთ, ის მოძრაობს – ეფეს. 3;16-17; 2 კორ. 13:14; 1 კორ. 12:4-6.

გ. ეკლესიის ორგანული ფუნქცია არის ეკლესიის როგორც ქრისტეს ორგანული სხეულის, ყოვლისმომცველის სისავსისათვის, რომელიც ავსებს ყოველივეს ყოველივეში, აშენებისათვის – ეფეს. 1:23.

© 2020 Living Stream Ministry